სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

**სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).**

*სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა მტკიცებულებები (კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები) რომლითაც დასტურდება, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N1/კ-025 ბრძანებით დამტკიცებულია თნამდებობრივი ინსტრუქციები და სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექციისა და ადმინისტრაციის პერსონალის, ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**სკოლის აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, იკვეთება შეუსაბამობა - დაწყებით კლასებში, საგანს „მე და საზოგადოება“ ასწავლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („ზოგადი განათლების“ შესახებ კანონი - მუხლი 21³; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ - მუხლი 11).**

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამაბისი მასწავლებლის (საგანი „მე და საზოგადოება“) დასაქმებას.***

***შესრულების ვადა - 09.2026***

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულემების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების

ჩართულობას. სკოლაში ფუნქციურია სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლაში დამტკიცებული კათედრის დებულების თანახმად, კათედრის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღრულია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *პერსონალის მართვის პოლიტიკა;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცებაზე;*
- *თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
- *კონკურსის მასალები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობას და შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის შედეგადაც ხდება პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციებისა და გამოცდილების გაზიარება. საჭიროებების იდენტიფიცირება ასევე ხორციელდება პერსონალის მხრიდან, ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზეც. საჭიროებების შესაბამისად, სკოლის ბიბლიოთეკარმა მონაწილეობა მიიღო შესაბამის ტრენინგში, ხოლო ტექნოლოგიების მიმართულებით, პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩაერთნენ პედაგოგები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით, რაც ითვალისწინებს თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარებას, რეკომენდაციების შემუშავებას სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, ადაპტაციის მიმართულებით აქტივობები, ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. უზრუნველყოფილია მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *კათედრის დებულება*
- *კათედრის სხდომის ოქმი*
- *შინაგანაწესი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის №1/კ-078 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით, განსაზღრული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები. შიდა შეფასების სისტემა ციკლური და მოიცავს დაგეგმვის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და რეაგირების ეტაპებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას თვითშეფასების კითხვარში დეტალურად აქვს აღწერილი და იდენტიფიცირებული სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ეს პროცესები სკოლას ასახული არ აქვს ერთ კონკრეტულ დოკუმენტში. თუმცა შემუშვებული და დამტკიცებულია ამ პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები.

სკოლაში დამტკიცებულია:

- მმართველობითი პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ძირითადი პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა.
- დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, შესყიდვების წესი, სკოლის ბიუჯეტი.

**რჩევა - მიზანშეწონილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მკაფიოდ განსაზღვრა და იდენტიფიცირება, რაც უზრუნველყოფს მათი მართვის უფრო ორგანიზებულ და ეფექტურ განხორციელებას.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 ნოემბრის №1/კ-075 ბრძანებით, დამტკიცებულია საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი, რომლითაც განსაზღრულია საჩივრის/განცხადების წარდგენის, განხილვის მექანიზმები და განხილვის ვადა.

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

დირექტორის 2023 წლის 11 ნოემბრის N2-752 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს

მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღეში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი;*
- *სკოლის შინაგანაწესი*

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს ვებ გვერდი (https://shorturl.at/yCOA8) და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

შინაგანაწესის თანახმად, კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა; სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, ვალდებულია სკოლაში იყოს ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, მშობელთა კრებები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N2-119 ბრძანებით, შექმნილია კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სკოლის ექიმი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი*
- *მშობელთა კრების ოქმები*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში*

- *სკოლის ვებგვერდი*

შეფასება:
- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მიმართვა უფლებამოსილ  უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

უფლებამოსილი ორგანოს მიერ  გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახად, სასწავლო კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შენობა ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის. შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის საჭიროა დასკვნის კვლევით ნაწილში მოყვანილი ხარვეზების აღმოფხვრა. **უსაფრთხოებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ  სკოლის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიზღუდოს გადაადგილება.  სკოლაში განხორცილებული საავტორიზაციო ვიზიტის დროს, საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე  გადაადგილება შეზღუდული არ იყო.**

**სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** სკოლის დირექციის განცხადებით, განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, აუცილებელი გახდა ახალი საკადასტრო ნახაზისა და საევაკუაციო გეგმის შედგენა და შესაბამისი ცვლიელებების ასახვა საჯარო რეესტრში. შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, მოხდება შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება საგანაგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დასაქმებულია სამი მანდატური. სკოლის შენობა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით.

**რჩევა - მიზანშეწონილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,  სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (ფოტოსურათები), რომელიც ადასტურებს, რომ საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე  გადაადგილება შეზღუდულია.**

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან  საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას.*

**შესრულების ვადა - 01.02.2027**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. შემუშავებული და დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

**გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.**

**რჩევა - მიზანშეწონილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძნების შესაბამისად, დასაქმდეს მეორე სამედიცინო პერსონალი**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ფორმები), რომელიც ადასტსურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

დირექტორის ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დასაქმებულია სამი მანდატური. შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვა/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დირექტორის 2015 წლის 27 ოქტომბრის N2-868 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია სკოლაში ფსიქოლოგის თანამდებობა, რომელიც მიმდინარე ეტაპზე ვაკანტურია. თუმცა, სკოლა უახლოესს მომავალში აპირებს კონკურსის გამოცხადებას ფსიქოლოგის შერჩევის მიზნით.

თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლაში იგეგმება და ხორციელდება საქველმოქმედო პროექტები, სპორტული აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ემოციურ თვითდამკვიდრებას სასკოლო გარემოში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია 7 დამლაგებელი, თუმცა მიმდინარე ეტაპზე დასაქმებულია მხოლოდ 5, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული ნორმების შესრულებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის N2-021 ბრძამებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშვების მიზნები, მონაცემთა სუბიექტი, მონაცემთა კატეგორია.

ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N314860 ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N2-045 ბრძანებით, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დირექტორის 2021 წლის 2-021 ბრძანებით, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლაში დასაქმებული პირები/მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და სკოლის მიერ დადგენილი რეგულაცია. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;*
- *სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება*
- *ექიმთან გაფორმებბული შრომითი ხელშეკრულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, ვ. ბარნოვის ქუჩაზე. 5714.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთვსებულია შენობა-ნაგებობა, რომლის ფართობი შეადგენს 6558.12 კვ.მ.-ს (ს/კ 01.15.02.033.027). შენობა სრულად არის რეაბილიტირებული; ოთხსართულიანია და მასში განთავსებულია 41 საკლასო ოთახი, ლაბორატორიებისთვის განკუთვნილი 3 ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, დირექციისთვის განსაზღვრული ოთახები, სამასწავლებლო, 2 სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი. საკლასო ოთახებში განთავსებულია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი შესაბამისი რაოდენობის ინვენტარი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N1/კ - 064 ბრძანებით, დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესით, ასევე მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლოს საზოგადოების წევრთათვის სკოლის ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებსა და მატერიალური რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის N 2-125 ბრძანებით, დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება). აღნიშნული წესი პასუხობს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობას. დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირები, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადეობისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა.

**ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

**არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (ფოტოსურათები), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობა სრულად არის ადაპტირებული. დამონტაჟებულია ლიფტი, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულადაა ხელმისაწვდომი შშმ პირთათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა ფუნქციონირებს კეთილმოწყობილ შენობაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემოს. შენობაში მოწყობილია მოსასვენებელი და თავისუფალი სივრცეები, რომლებიც გამოიყენება როგორც სოციალური ინტერაქციის, ასევე სასწავლო პროცესის მხარდამჭერი აქტივობებისთვის.

სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო გარემოს მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ სივრცეს. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით. ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა იმუშაონ სხვადასხვა საინფორმაციო რესურსზე, დაგეგმონ და ჩაატარონ შემეცნებითი შეხვედრები, დისკუსიები და სხვა საგანმანათლებლო აქტივობები. ამგვარად, ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო რესურსების საცავი, არამედ როგორც სივრცე, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციას, კულტურულ ურთიერთობასა და ინფორმაციული წიგნიერების განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების სამუშაო სივრცე. კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტენოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დირექტორის 2025 წლის 03 ივლისის N2-132 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარომების წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - tbilisi53@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია - მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახულია ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის საქმისწარმოების წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი (https://shorturl.at/yCOA8) და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, დაწესებულება არ უნდა ავრცელებდეს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია, უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადამოწმება/დადასტურება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის, ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ხდებოდეს სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიღებული უკუკავშირი არ არის კონსტრუქციული, შეიცავს უსაფუძვლო კრიტიკას და დამცინავ/შეურაცხმყოფელ რეპლიკებს, სკოლის ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს აკადემიური.

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სკოლაში მიმდინარე პროცესების თაობაზე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა (მოსწავლეები, მშობლები მასწავლებლები) გამოკითხვა, მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ორიენტირებულია საკუთრი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ მეორე უცხო ენის არჩევა მოხდა მშობელთა სრუვილის გათვალისწინებით.

ასევე ონლაინ გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ არჩევითი საგნის სწავლება მოხდა მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/404?schoolName., რომელზეც ინფორმაცია განთვსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/404?schoolName შეიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი*
- *მშობელთა კრების ოქმი*
- *კითხვარები*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. თუმცა აქვს დამატებითი შემოსავალი იჯარის საფუძველზე. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. შესყიდვის განხორციელების წინ ხდება ბაზარზე არსებული ფასების კვლევა. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *ბიუჯეტის ცვლილების შესახებ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *10 დეკემბრის ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ;*
- *წლიურის შესყიდვების გეგმა;*
- *შესყიდვების გეგმის კორექტირების შესახებ ბრძანება*
- *ბაზრის კვლევის შესახებ დოკუმენტაცია*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დირექტორის 2023 წლის 11 ნოემბრის N2-752 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი. სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები.სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და სკოლის შენობაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 ნოემბრის №1/კ-075 ბრძანებით, დამტკიცებულია საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი, რომელიც ასევე განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შინაგანაწესი;*
- *განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;*
- *მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დირექტორის 2023 წლის 13 ნომებრის N2-753 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool - ის ბაზის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. უზრუნველყოფილია შინაგანაწესის საჯაროობა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *Eschool ში სკოლის პროფილის დათვალიერება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის N2-306 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით, განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია; წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლაში შემუშვებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესის თანახმად, სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან, ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი და დარეგულირებულია შემაჯამებელი წერის აღდგენის, სემესტრული ქულის ამაღლების მექანიზმი. საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები მათთვის უზრუნველყოფენ დამატებით მეცადინეობას, აკადემიური ჩამორჩენის პრევენციის მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზით იკვეთება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით დარეგულირებულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადების, სემესტრული გამოცდის საკითხი. კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება ექსტერნის გამოცდები.

მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებისგან მიღებული აქვთ ინფორმაცია აღნიშნული საკითხის თაობაზე.

მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, სკოლა ღებულობს ზომებს მოსწავლისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის თაობაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 12 დეკემბრის N1/კ-082 ბრძანებით, დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლითაც განსაზღვრულია ინიციატივების წარდგენის მექანიზმი. სკოლის დირექცია განიხილავს მათ ინიციატივებს, მოსაზრებებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობს დააკმაყოფილოს ისინი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. სკოლამ წარმოადგინა

მშობელთა კრებების ოქმები, რაც ადასტურებს, რომ მეორე უცხო ენის არჩევა მოხდა მშობელთა სურვილის გათვალისწინებით. ასევე იკვეთება, რომ არჩევითი საგნების შერჩევა ხორციელდება მოსწავლეთა მიერ, ელექტრონული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი;*
- *კითხვარები*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექტორთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს და ახორციელებს უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრას. სკოლამ წარმოადგინა მემორანდუმის პროექტი, რომელიც უნდა გაფორმდეს სკოლასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს სკოლასა და უნივერსიტეტს შორის სამეცნიერო და პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას, აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციას.

სკოლის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული მემორანდუმი ოფიციალურად უახლოეს მომავალში გაფორმდება.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, რომლებიც ასახავს მათ პროფესიულ ინტერესებს, სასურველ პროფესიათა წარმომადგენლებთან შეხვედრის სურვილს, იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომელთა მონახულებაც სურთ, აგრეთვე მათთვის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებს კარიერული და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს შესაბამისი მიმართულებით მიზნობრივი აქტივობების განხორციელებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეხვედრას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან, რაც უზრუნველყოფს განახლებულ და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე ეტაპზე, მომსახურების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი სკოლაში შემუშავებული არ არის. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, რის გამოც მოცემული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მემორანდუმის პროექტი*
- *კითხვარები*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

2025–2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესს, ისგ ჯგუფის ფორმირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებელი, შესაბამისი საგნების მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები და მოსწავლის მშობელი. სკოლაში ასევე შემუშავებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი ინვენტარითა და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფილი რესურსოთახი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობასა და მხარდაჭერას.

**ინდიაკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესში, მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი. სკოლის დირექტორის ბრძანებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგნების მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი და მოსწავლის მშობელი. თანამშრომლობის საფუძველზე მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სკოლაში ასევე შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხორციელების პროცესის მონიტორინგს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ინკუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი და ჯგუფი;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;*
- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;*
- *ისგ. ჯგუფის ოქმი;*
- *შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა*

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

**მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში იჯარის წესით გაცემულია ფართი ბუფეტის, გახანგრძლივებული სწავლების, ხატვის, მხატვრული ტანვარჯიშის, ჭადრაკის, თეატრალური, ქართული ხალხური და კარატის წრეების ფუნქციონირების მიზნით. სკოლაში ფართი იჯარით არის გაცემული სამეურვეო სამჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში ფართი იჯარით არის გაცემული სამეურვეო სამჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში იჯარის წესით გაცემული ფართი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, სკოლაში ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღდეგო უსაფრთხოების წესები,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სამეურვეო საბჭოს ოქმი*
- *საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი*
- *იჯარის ხელშეკრულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br><br>☒ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ თბილისის N53 საჯარო სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილი არის კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები და პრინციპები, რომელთაც კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს და შეხედულებებს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციებს და საზოგადოების ინფორმირების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესები არის გათვალისწინებული. სასკოლო საზოგადოების ინტერესები ჩანს კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში. როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რომელთა დადგენა მშობლებთან გამოკითხვით ხდება. ასევე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კათედრის თითოეული წევრი კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვის პროცესის უშუალო მონაწილეა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საკითხები. მეთოდოლოგია მოიცავს პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლო საჭიროებები და ინტერესები, ასევე კოლეგების შეხედულებები, რეკომენდაციები. მასწავლებლები კურიკულუმის შექმნისას განიხილავენ თითოეული თემის შესაბამის საკითხს, მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების თვალსაზრისის გათვალისწინებით. ასევე, განიხილავენ, როგორ დააკავშირებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებასთან, რათა განსაზღვრონ შუალედური სასწავლო მიზნების წარმოდგენის ფორმები შემოქმედებითი პროდუქტის სახით. რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბებას. სკოლის ადმინისტრაცია კი ფასილიტაციას უწევს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია მათი ინფორმირება და უკუკავშირის მექანიზმები. მშობლების ინფორმირება და ჩართულობა კურიკულუმის შესახებ ხდება დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებების მეშვეობით და ასევე სოციალური ქსელებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა*

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზიის დროს ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად.<br>**რჩევა - სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, საგანთა შორის ინტეგრირებული პროექტების, პროდუქტების შექმნაზე. ასევე, შემაჯამებელი დავალებების უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ფორმით წარმართვის მიზნით, გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის აქტივობები და დავალებები. დაწყებით საფეხურზე სასურველია კურიკულუმში თვალსაჩინოების ჩამონათვალი, ან გამოყენებული რესურსები უფრო მრავალფეროვანი იყოს.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას, პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი, მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლა წარმოდგენილ კურიკულუმებში ითვალისწინებს შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს ფასილიტატორს, ხოლო მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი |

| | |
|---|---|
| | საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ესთეტიკური აღზრდის საგნებში სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითრების გზას. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ეს კარგად გამოჩნდა არამხოლოდ დოკუმენტებში, არამედ მათთან გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ მოწოდებული მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ეროვნული სასწვლო გეგმის მოთხოვნები და პრინციპები.კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებიდან. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანაას. კურიკულუმის ჩარჩოში იყო მცირე შინაარსობრივი უზუსტობა, რაც აიღნიშნა ინტერვიუს დროს და რასაც გაითვალისწინებენ პედაგოგები.<br><br>**რჩევა - სამომავლოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ყველა კლასის კურიკულუმში შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც. (დაწყებითი საafეხურისთვის).**<br><br>**რჩევა - სამომავლოდ, სასურველი იქნება, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი დიზაინის. ( დაწყებითი საფეხურისთვის)**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ყველა კლასის საგნის კურიკულუმებში იფარება ყველა სამიზნე ცნება. სკოლაში, საგანს კომპიუტერული ტექნოლოგიები, ასწავლის ორი მასწავლებელი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ მე-5 კლასის და მე-4 კლასის ცხრილი ემთხვევა ერთმანეთს და რადგან სკოლაში ერთი კომპიუტერული ლაბორატორიაა, მე-5 კლასს კვირაში ერთი გაკვეთილი უტარდებათ კომპიუტერების გარეშე. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა - სასურველი სკოლამ ცხრილის შედგენისასას გაითვალისწინოს კომპიუტერული ლაბორატორიის დატვირთვა და ცხრილი შეადგინოს იმგვარად, რომ ყველა კლასს გაკვეთილები უტარდებოდეთ კომპიუტერების გამოყენებით.** <br> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად და თავისთავად გამიზნულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრები კურიკულუმებს შეიმუშავებენ წინა წლის კურიკულუმების რეფლექსიის საფუძველზე. ისინი თანამშრომლობენ კათედრებზე და ერთად განიხილავენ საგნობრივ კურიკულუმებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარალელური კლასების მასწავლებელთა თანამშრომლობა რესურსებისა და სტრატეგიების შერჩევის მიმართულებით. თანამშრომლობითი კულტურა, ზოგადად, მაღალია სკოლაში და ის სხვადასხვა კათედრის ურთიერთთანამშრომლობაშიც ჰპოვებს ასახვას. შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და ასევე, სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გასაცნობად, ისინი თანამშრომლობენ მოსწავლეთა მშობლებთან. დახურულ სოციალურ ჯგუფებში უზიარებენ მათ კომპლექსური დავალების ბარათებს და იღებენ უკუკავშირს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. <br> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის ოქმებში, კათედრის წევრების შეხვედრებზე, ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს<br><br>რჩევა - სასურველია:<br><br>• დაწყებითი საფეხური - მე-3 კლასის სამიზნე ცნებები გადამოწმდეს სტანდარტიდან. მე-5 და მე-6 კლასებში კურიკულუმის ჩარჩო შეთანხმდეს კათედრაზე. არ არის დაფიქსირებული ყველა სამიზნე ცნება. თითოეულ თემაში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება. ასევე, შეფასებაში გასწორდეს სამიზნე ცნებები.<br>• საბაზო საფეხური - ქიმია - მე-8 კლასი - სამიზნე ცნება თითოეულ თემასთან მიმართებაში გასწორდეს სტანდარტიდან. ფიზიკა მე-7 კლასი - დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. რესურსებში არის ზოგადი “ტელესკოლა”, ვირტუალური ლაბორატორია, დაკონკრეტდეს ბმულების სახით შესაბამისი რესურსი. ფიზიკა-მე-8 კლასი - ერთ თემაში მეორდება ერთიდაიგივე სამიზნე ცნებები. ერთი და იგივე რესურსი აქვს ყველა შემოქმედებით პროდუქტს. სასურველია მრავალფეროვანი და შემოქმედებით პროდუქტზე კონკრეტულად მორგებული რესურსი. აღნიშნული გასათვალისწინებელია მე-9 და მე-10 კლასის ფიზიკაში. |

| | |
|---|---|
| | • საშუალო საფეხური - მე-11 კლასის ქიმიაში გასწორდეს ქვეცნება. კურიკულუმს არ ახლავს შეფასების სქემა. საშუალო საფეხურის კურიკულუმებს მიეთითოს საათობრივი დატვირთვა.<br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება.<br>რჩევა - სასურველია:<br>• კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხთა კლასტერით დამუშავდება;<br>• კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში;<br>• ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს;<br>• თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები;<br>• კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება; |

| | |
|---|---|
| | • **კათედრაზე არსებობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთნაირი დიზაინი.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებს, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. შემოქმედებითი ბუნების დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკისა და ხელოვნების წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო სამივე საფეხურზე ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო მიზნებს და აკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს. კურიკულუმები აგებულია ისე, რომ ემსახურება მოსწავლეებში ფუნქციურ კომპეტენტური უნარების განვითარებას.<br>**რჩევა - III ,VI-XII კლასის კურიკულუმში დასაზუსტებელია თემების დასახელებები სტანდარტიდან.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. |

| | |
|---|---|
| | გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა და სხვ.), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს.<br><br>**რჩევა - დაწყებითი საფეხურზე ბუნებისმეტყველების მე-3 კლასის კურიკულუმში დამუშავდეს სამიზნე ცნებები: „სხეული“ და „გარემოს დაცვა“.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო- მასალაში), ლეპტოპებით და პროექტორით მასწავლებლები იყენებენ ელ. რესურსებს, რაც საგაკვეთილო პროცესს უფრო საინტერესოს ხდის. რაც ხელს |

| | |
|---|---|
| | უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საინტერესო პროექტებზე მუშაობენ მოსწავლეები ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დოკუმენტებში გადმოგზავნილია რამდენიმე ინტეგრირებული გაკვეთილი დაწყებით და საბაზო საფეხურზე.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს შეუწყობს აქტიურ და მოსწავლეთა ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმის მიერ შეთავაზებული ძირითადი სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები) უმეტესწილად პირდაპირ უკავშირდება სწავლის განსაზღვრულ შედეგებს და ხელს უწყობს ენის არსებითი უნარების (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) განვითარებას. მრავალი რესურსი შეიცავს მრავალფეროვან სავარჯიშოებსა და აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას და სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მასწავლებლის სახელმძღვანელოების გამოყენება პედაგოგების მიერ, უზრუნველყოფს პედაგოგიურ მხარდაჭერას და ეხმარება მასწავლებლებს რესურსების ეფექტურად ინტეგრირებაში |

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე, ციფრული რესურსების გამოყენება და მათი ინტეგრაცია.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ციფრული თუ მატერიალური რესურსები ასევე ვიდეო თუ აუდიო მასალა, სხვადსხვა ელექტრონული რესურსები, რომლებიც უფრო საინტერესო, მრავალფეროვანს და მიმზიდელს ხდის სასწავლო პროცესს, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმის მიხედვით იკვეთება და საუბრისასაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს და ასევე ციფრულ თუ მატერიალურ რესურსებს, ვიდეო თუ აუდიო მასალას, რითაც უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და მიმზიდველი ხდება სასწავლო პროცესი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში მოცემულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ის ელექტრონული რესურსები რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალური რესურსით - ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში |

| | |
|---|---|
| | იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, ინტერნეტ რესურსს სხვადსხვა საიტებიდან და პრეზენტაციებს სხვადსხვა თემაზე. ასევე დამხმარე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. კურიკულუმები მოიაზრებს სხვადასხვა ტიპის რესურსს, მათ შორის ტელესკოლის გაკვეთილებს, სხვადასხვა პლატფორმის ბმულებს. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული რესურსი მოიცავს აქტივობებს, ინტეგრირებულ დავალებებს, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების, ასევე სსსმ ან, დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. სკოლას წარმოდგენილი აქვს რემედიაციის გეგმა.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩანს, როგორ ახდენს მასწავლებელი შემოქმედებითი ტიპის დავალების და მთლიანად საგაკვეთილო პროცესის მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის და რამდენად ქმნის თითოეული მოსწავლისთვის ინკლუზიურ გარემოს. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა, მასწავლებელს აძლევს საშუალებას, მოარგოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სასწავლო ტემპს. მრავალი რესურსი მოიცავს დამატებით სავარჯიშოებს, გაფართოებულ აქტივობებს, რაც პედაგოგს საშუალებას აძლევს, ეფექტურად იმუშაოს როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ გათვალისწინებულია დიფერენცირებულ მიდგომები სასწავლო პროცესში, შექმნილია ინკლუზიური გარემო. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აქტივობები თუ რესურსები მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების |

| | |
|---|---|
| | შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას, მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები.სკოლის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში ხდება როგორც დავალებების ისე სასწავლო პროცესის ცვლილება და მოსწავლის საჭიროებებზე ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. მაგალითად, მათ წარმოდგენილი აქვთ სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებით და მასწავლებელთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც |

| | |
|---|---|
| | ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მე-2, მე-3 და მე-4 კლასელი სსსმ მოსწავლეებისათვის, სადაც განსაზღვრულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ რემედიაციას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს. აქტიურად იყენებენ გაკვეთილებზე დაკვირვებას, რაც დამატებით ინფორმაციას აწვდის მათ ამა თუ იმ საკითხის ფარგლებში მოსწავლეთა მიღწევის დონის შესახებ. დაწყებით საფეხურზე ატარებენ დიაგნოსტიკური შეფასებას კითხვისა და მათემატიკური წიგნიერების მიმართულებით სასწავლო წლის დასაწყისში, მეორე სემესტრის დაწყებამდე და წლის ბოლოს, რაც მათ ეხმარება, სასწავლი პროცესი გამოვლენილი საჭიროებებისა და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით დაგეგმონ. მასწავლებლებს აქვთ ასევე დავალებების ადაპტირების გამოცდილებაც, რაც ასევე ქმნის ინკლუზიურ გარემოს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას.<br>**რჩევა - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმებში მოცემული შეფასების სისტემა, შეესაბამება ესგ-ს ძირითად პრინციპებს. ხაზგასმულია უკუკავშირის მნიშვნელობა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესს და შეცდომებზე მუშაობას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, მათ შორის ზეპირი და წერითი კომპონენტები, პროექტული დავალებები და აქტივობები, რაც |

| | |
|---|---|
| | ხელს უწყობს ენის ოთხივე უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) შეფასებას. ეს შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნას, შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ უნარები და კომპეტენციები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. შემაჯამებელი წერების საშუალებით პედაგოგები აფასებენ ცნების გააზრების დონეს, რაც შესაძლებლობას იძლევა განსაზღვრონ კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. შეფასების რუბრიკებს კი კათედრა ადგენს ერთობლივი მუშაობის შედეგად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან , მიზნებთან და ამოცანებთან. კათედრის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლამ წარმოადგინა საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. მაგ. ვიზუალურ პროგრამირებაში გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მასალები მოიცავდა რუბრიკებს, რომლებიც შეესაბამება კონკრეტული თემების ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებსა და შედეგების მისაღწევ ინდიკატორებს. აღნიშნული ფაქტი |

| | |
|---|---|
| | ადასტურებს, რომ პედაგოგებს გააჩნიათ კომპეტენცია და გამოცდილება რუბრიკების მიზნობრივად გამოყენებაში — თემის შიგნით შედეგების განსაზღვრისა და შეფასების პროცესში. ეს მიდგომა ნათლად აჩვენებს, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ შეფასების მნიშვნელობას, როგორც სწავლების პროცესის ორგანულ ნაწილს და იყენებენ რუბრიკებს მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად, არა მხოლოდ საბოლოო შედეგების, არამედ სწავლის პროცესის დინამიკის შეფასების მიზნით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები;*
- *საგანმანათლებლო რესურსები;*
- *2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიმართულებაზე და დახვეწაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება, ურთიერთდასწრება. ერთობლივი თანამშრომლობა სასკოლო ინტელექტუალურ პროექტებზე. ასევე, აქცენტი კეთდება მეტად აქტუალურ თემებზე: ძირითადად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის |

| | |
|---|---|
| | შესაბამისად. კათედრა აძლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით.<br>**რჩევა: სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი შესრულებული დავალებების პროდუქტები, მათ შორის შემოქმედებითი ნამუშევრები, ცხადყოფს, რომ სასკოლო კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად განხორციელებულია პრაქტიკაში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და თემატიკას. დაგეგმვისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, აუდიო/ვიდეო მასალები). მათი ინტეგრაცია ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მასალების სრულყოფილ გამოყენებას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად. როგორც საუბრისას აღნიშნეს პედაგოგებმა, კურიკულუმების ანალიზისა და რეფლექსიის საფუძველზე ახლდება კურიკულუმები და იგეგმება ყოველ მომდევნო სასწავლო წელს სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორის კავშირებს, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას და მოსწავლეთა ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და |

| | |
|---|---|
| | ინვენტარით. კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში აწყობენ შიდასასკოლო ფესტივალებს, პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და სკოლის მოსწავლეები ჩართული ყავთ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობებშიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რაც დასტურდება გასაუბრების დროს. ასევე მაგალითად მეექვსე კლასში მასწავლებლის მიერ დამატებით დოკუმენტებში გადმოგზავნილი შემოქმედებითი ტიპის დავალება ასახულია მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა უნარების განვითარებისაკენ და უბიძგებს მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს შემეცნებითი პროცესების გააქტიურებას. ამასვე მოწმობს მათ მიერ შემოქმედებითი დავალებისა თუ პროექტის |

| | |
|---|---|
| | ფარგლებში შექმნილი და გადმოგზავნილი პროდუქტების ფოტო-ვიდეო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები), რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

## 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. შემაჯამებელი დავალების ვერიფიკაცია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. კათედრის მიერ, შემუშავებული შეფასების რუბრიკები ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ |

| | |
|---|---|
| | კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი.<br><br>**რჩევა - სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. სასურველია პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.**<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და სქემები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. არის |

| | |
|---|---|
| | განსაზღვრული, თუ რა ცოდნისა და უნარების დემონსტრირებაა საჭირო კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და შეფასების პროცესის გაგებას. შეფასების სისტემა ცდილობს დაიცვას სამართლიანობის პრინციპი სხვადასხვა ტიპის დავალებების შეთავაზებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და უნარები მრავალფეროვან კონტექსტში (მაგალითად, როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმატში). კურიკულუმში მოცემულია შეფასების რუბრიკები, რომლებიც როგორც წესი, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი სახის. რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა ზრუნავს მის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასწავლო პროცესში გამოყენებისას სკოლა ზრუნავს მის ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. როგორც საუბრისას აღინიშნა, მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მოსწავლეთა შეფასების სისტემა აგებულია ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის, სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას. შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები და შემდეგ დამატებით დოკუმენტებში წარმოადგინა კონკრეტული რუბრიკები საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე (I–IV კლასებში) გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის მრავალმხრივ შეფასებას და სწავლის პროცესზე აქტიურ ზემოქმედებას. კერძოდ, მასწავლებლები თითქმის ყველა საგანში იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, აღწერით უკუკავშირს, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს და იძლევა ინფორმაციას პროცესის შემდგომი დაგეგმვისათვის. |

| | |
|---|---|
| | შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რადგან შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს, არის წინასწარ შემუშავებული და მორგებული კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასება ძირითადად ხორციელდება მასში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასების დამამტკიცებელ დოკუმენტაციას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები*

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის პლაკატები. **რჩევა: კურიკულუმში ჩაშენებული რესურსები უნდა იყოს მრავალფეროვანი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსს, ვიდეო რესურსს, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს, რუკებს, პოსტერებს, პლაკატებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და |

| | |
|---|---|
| | გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.<br>**ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმით დამტკიცებული ძირითადი სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, აქტიურად და სისტემატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ისინი წარმოადგენენ გაკვეთილების დაგეგმვისა და მიზნების მიღწევის მთავარ საფუძველს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტულობას და თანმიმდევრულობას. აუდიო და ვიდეო მასალების აქტიური ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსმენისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მასალის ვიზუალურ და სმენით აღქმას, რაც ამდიდრებს სასწავლო გარემოს და ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ დამატებითი, დამხმარე რესურსების ინტეგრაციას, რაც მიუთითებს მათ პროფესიულ მიდგომაზე და მზაობაზე, გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი.<br>**ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამატებითი მასალები- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ინტერნეტრესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სწავლებისას სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია არამარტო გრიფირებული სახელმძღვანელოები, არამედ ასევე მრავალფეროვანი დამატებითი მასალა: ვიდეო, აუდიო მასალა თუ ციფრული და ბეჭდური რესურსები, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. იყენებენ როგორც მოძიებულ, ასევე მათ მიერ შექმნილ რესურსებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| მათემატიკა | მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები(როგორც მატერიალური ისე ელექტრონული რესურსები) აქტიურად გამოიყენება სწავლებისას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: მატერიალურს რესურსს - არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, ძირითად რესურსს - გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, პრეზენტაციებს თეორიისათვის და დამხმარე ინტერნეტ რესურსს- ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით. მასწავლებლები საუბრობენ დამხმარე სასწავლო რესურსებზე, მაგალითად გამარჯობა რუბი, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში, რომელთა ნუსხასაც, როგორც სავალდებულო, ასევე არასავალდებულო რესურსებს, განსაზღვრავს კათედრა და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. შესაბამისად, კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები ავტორებითა და გვერდებით, ასევე, ჩანს რიგ შემთხვევებში გამოსაყენებელი ელ. ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოცემულ ეტაპზე სკოლას აქვს  დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი.დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. **რჩევა: სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ  მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს ვალიდაციის წესი. სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი |

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და სკოლის ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | მასწავლებლები იყენებენ აუდიო-ვიდეო მასალებს და სხვა დამხმარე საშუალებებს, რომლებიც ავსებს ძირითად სახელმძღვანელოებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლების მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები, როგორც წესი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემატიკასა და სწავლის შედეგებს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის შესაბამისად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | რესურსების ვალიდაცია ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად და კათედრის ერთობლივი მუშაობის შედეგად.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრა საჭიროებებიდან გამომდინარე ერთობლივად შეიმუშავებს დამხმარე სასწავლო რესურსს და ახდენს მის ვალიდაცია/დადასტურებას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების საშუალებით ახორციელებს იმ დამატებითი სასწავლო რესურსების აღრიცხვას, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. კათედრის სხდომებზე განიხილება ამ რესურსების გამოყენების შედეგები, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და მიზნობრიობის შეფასებას. მიღებული დასკვნების საფუძველზე, სკოლა ადგენს რესურსების ვალიდაციას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მათი შემდგომი გამოყენების შესახებ მომავალ სასწავლო წელს.<br>აღსანიშნავია, რომ კათედრის ოქმებში ასახულია ელექტრონული რესურსების ბმულებიც, რაც ადასტურებს ციფრული რესურსების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და მათი გამოყენების გამჭვირვალობას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, ელექტრონული რესურსები. თუმცა მიმდინარე ეტაპზე სკოლაში არ ფუნციონირებს საბუნებიმეტყველო ლაბორატორიები. **საბაზო და საშუალო საფეხურზე, ექსპერიმენტული ნაწილი მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო რეჟიმის განხორციელებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად. აღჭურვილი ლაბორატორია ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაზრდას და შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს.**<br>**ხარვეზი: მოცემულ ეტაპზე სკოლაში უზრუნველყოფილია ფართი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ფუნქციონირებისთვის. თუმცა, სკოლას არ აქვს შესაბამისი აღჭურვილობა და ფაქტიურად, ლაბორატორებითვის გამოყოფილი ოთახები უფუნქციოა.**<br><br>***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვას შესაბამისი ინვენტარით.***<br>***შესრულების ვადა - 20.04. 2027*** |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | მასწავლებლები ცდილობენ ციფრული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რაც უცხოური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია. ეს პირდაპირ კავშირშია სწავლის ისეთ შედეგებთან, რომელიც ციფრული წიგნიერების განვითარებას გულისხმობს და აუცილებელია მოსმენის, მეტყველების, აუდიო-ვიდეო მასალებთან მუშაობისთვის, რაც მნიშვნელოვანია კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, დინამიკით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში არსებული რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. როგორც ინტერვიუსას აღინიშნა, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის კურიკულუმით გათვლისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. 20 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის კომპიუტერებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიურ რესურსებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს კლასში, პროექტორის დახმარებით, უზრუნველყონ სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | დამხმარე მასალის გამოყენება საკითხების ძირეული შესწავლისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

დაწყებით საფეხურზე, კურიკულუმის განხორციელებისთვის სკოლას არ ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, საგანს „მე და საზოგადოება“ ასწავლის მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
(„ზოგადი განათლების შესახებ კანონი - მუხლი 21 $^{3}$; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის № 108/ნ ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე - მუხლი 11).

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამბისი მასწავლებლის (საგანი „მე და საზოგადოება“) დასაქმებას.***

***შესრულების ვადა - 09.2026***

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი* შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ფარგლებში ხდება კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეების გამოყოფა და იმ გამოწვევებისა და ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. სკოლაში კურიკულუმის განხორციელების ეტაპზე მონიტორინგის მიზნით ხდება პროცესზე დაკვირვება. შემუშავების პროცესში იკვეთება საჭიროებები, ამასთანავე, ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება, იგეგმება კურიკულუმის განვითარების გზები, რომელშიც ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭოს წევრები და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი გამოიყენება შემდგომი პროცესის დასაგეგმად და პროცესების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით სკოლაში ხდება გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, უკუკავშირის გაცემა, რომელიც ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და განვითარებაზე. სამივე საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, კათედრები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნების მიხედვით ერთობლივად, ერთმანეთის აზრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქმნიან სამოქმედო გეგმებს, მუშაობენ კურიკულუმების ფორმირებაზე, განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს, თემის ფარგლებში საკითხებს და შემაჯამებელ და შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობაზე. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ

საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მათ აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას და ზრუნავენ განვითარებაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას დაგეგმილი აქვს დანერგოს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზები, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს, გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, აძლევს უკუკავშირს. სწორად გაცემული რეკომენდაციები და უკუკავშირი და მიმღებლობა მასწავლებლების მხრიდან, განვითარების საუკეთესო საშუალებაა. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურუკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კურიკულუმი;*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასკოლო თემატური გეგმები ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას ინტეგრირებულად მოხდეს დაკვირვება და გათვალისწინებულ იქნას შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლაში სისტემატიურად გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლე ფასდება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, რის შემდგეაც მზადდება რეკომენდაციები. დირექცია აკვირდება მასწავლებელთა სამუშაო პროცესს და უკუკავშირის საშუალებით ეხმარება ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. ასევე, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენადაა მოსწავლე ჩართული სწავლების პროცესში, დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში პრეზენტაციის წარმართვისას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად მონაწილეობს მოსწავლე არაფორმალურ აქტივობებში, კლუბურ მუშაობაში, სასკოლო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში და სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს - საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენად ეფექტური იყო სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლის სტრატეგიები, დამხმარე სასწავლო რესურსი, სკოლის მატერიალური რესურსი, შეთავაზებული სერვისები, განხორციელებული სადამრიგებლო პროგრამები და სკოლის ადამიანური რესურსი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმებიდან გამომდინარე წარმოჩინდება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის დროს გამოკვეთილი საჭიროებები, ხდება გაანალიზება და განვითარების გზის დაგეგმვა, რაც გამოიხატება

გარკვეული რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებაში. პროცესში ჩართულნი არიან სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები. მიღებული უკუკავშირისა და დაკვირვების საფუძველზე სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს კურიკულუმის რევიზიას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. განახლებულ კურიკულუმში ცვლილებები აისახება თემების განაწილების დროის, ასევე შემოქმედებითი დავალებების ცვლილების კუთხით. საგნობრივი ჯგუფები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ეწევიან კოორდინირებულ მუშაობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

- *საგნობრივი კურიკულუმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................

თარიღი: 28.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: